ონის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ78.782217112**

თარიღი:**20/06/2022**

ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქციისა და ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელების ინსტრუქცია და შესაბამისი ფორმები თანდართული დანართის შესაბამისად, კერძოდ:

   » ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქცია;

   » სკრინინგის ფორმა;

   » ბავშვის შეფასების ფორმა / ბავშვის ბიოგრაფიული მონაცემები;

   » ბავშვის/ბავშვების ოჯახის შეფასების ფორმა;

   » დასკვნა / სოციალური მუშაკის დასკვნა/რეკომენდაცია;

   » ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა;

   » ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის გადასინჯვა;

   » ბავშვთან და ბავშვთან დაკავშირებულ პირებთან შემდგარი სოციალური მუშაკის ვიზიტები.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის'' VIII თავის 22-ე მუხლის მიხედვით მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური კოსტავას ქ. N13).

სერგო ხიდეშელი

ონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი